

რა “ბარიბეზა” უნდა იყოს ბრიგოლიასა და ლალო პაპავას შორის?

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 7-13 აპრილი, № 14, 2008

27 მარტის „პრაიმტაიმი“ პრემიერ-მინისტრ ლალო გურგენიძისთვის იღბლიანი აღმოჩნდა – კაცმა რა ულტიმატუმებიც წამოაყენა, ყველაფერი შეუსრულეს. როგორც „ქრონიკისთვის“ გახდა ცნობილი, მისი პირველი მოთხოვნა ის ყოფილა, რომ პროფესორ ლალო პაპავასთან პირისპირ მარტო ვერ დაჯდებოდა და გადაცემაში აუცილებლად დამხმარე ძალა, ანუ თავისი მომხრე ექსპერტი, გაეზიარებინა. კი, ბატონო, ეს არც თუ ისე ძნელი შესასრულებელი იყო და დათანხმდნენ კიდევ, მაგრამ მისი მომდევნო ორი კაპრიზის აღსრულება იმაზე მიაჩნებოდა, რომ ჩვენ მთელი საღამო წინასწარ დადგმულ სპექტაკლთან მიახლოებულ გადაცემას ვუყურებდით. ერთი სიტყვით, რა მოხდა „პრაიმტაიმის“ დაწყებამდე ერთი საათით ადრე, ამაზე თვით ბატონი ლალო პაპავა გვესაუბრება.

– სხვათა შორის, ბოლო დღეებში ბევრი მირეკავს და მეუბნება, გადაცემაში ყველაფერი რიგზე იყო, თქვენ წარმატებით გამოხვედით, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ლალო გურგენიძეს ინდობდითო. ჯერ ერთი, ეს მესამე მცდელობა გახლდათ ქ-ნ ინგა გრიგოლიას მხრიდან, რათა ჩემი და პრემიერ-მინისტრის შეხვედრა შემდგარიყო. პირველ შემთხვევაში გურგენიძე მინისტრებთან ერთად უნდა მოსულიყო, ხოლო მეორე მხარეს მე უნდა ვყოფილიყავი კოლეგა ექსპერტებთან ერთად. თითქოს ყველაფერი შეთანხმებული იყო, მაგრამ ბოლოს მთავრობამ აღარ მოისურვა ამ ფორმატში ტელეეთერში გასვლა. შემდეგ იმ გადაცემაში მიმიწვიეს, რომელშიც ე.წ. 50-დღიანი პროგრამა უნდა განგვეხილა, თუმცა მოგვიანებით ქალბატონმა ინგა გრიგოლიამ დამირეკა, პრემიერი წინააღმდეგია, პირდაპირ ეთერში მარტო გამოსვლა უნდაო. იმ საღამოს, გადაცემის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ლალო გურგენიძე თვითონ დამიკავშირდა ტელეფონით და მოთხოვა, ერთი-ერთზე შევხვედროდი: მე მას თავის კაბინეტში მეორე დღეს შევხვდი.

– რაზე ისაუბრეთ?

– თითქმის ყველაფერზე, მაგრამ მეც და ისიც მაინც თავ-თავის აზრზე დავრჩით. რაც შეეხება მესამე, ანუ უკვე რეალურ მცდელობას, 27 მარტს, საღამოს 9 საათზე ქნი ინგა გრიგოლია მირეკავს და მეუბნება: ბატონო ლადო, თქვენ შეგიძლიათ, ამ გადაცემაში მონაწილეობაზე უარი თქვათ, პრემიერ-მინისტრს მარტო გამოსვლა არ უნდა, ვინმე ჯანდიერიც უნდა მოიყვანოსო. ვინმე ჯანდიერს იმიტომ ვამბობ, რომ იგი გადაცემის წამყვანისთვის იყო უცნობი, თორემ ჩემთვის უცხო არ გახლავთ. ქალბატონ ინგას უთქვამს, მაშინ ლადო პაპავას გვერდით კიდევ ერთი ექსპერტი დავსვათო, მაგრამ გურგენიძეს ამაზეც სასტიკი უარი განუცხადებია.

– **ვერ გავიგე, ამ კაცს თქვენი ეშინია?**

– არ ვიცი... მოკლედ, ქნი ინგას ვუთხარი, თუ უნდა, გურგენიძემ მესამე კაციც მოიყვანოს, მე პრობლემა არა მაქვს-მეთქი. ელემენტარული ამბავია, როდესაც ორი ადამიანი ერთის წინააღმდეგ გამოდის, ხალხი წინასწარვე ერთის გულშემატკივარი ხდება.

– **ბატონო ლადო, ამისხენით, გურგენიძე თქვენთან ერთად პირდაპირ ეთერში რატომ ვერ ჯდება?**

– ნამდვილად არ ვიცი. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ გადაცემის დაწყებამდე მან ჩამოთვალა თემები, რომელთა შესახებაც მთხოვა არ გვესაუბრა.

– **ასეთი ულტიმატუმი ინგა გრიგოლიასაც წაუყენა?**

– არ ვიცი, როდესაც გურგენიძემ ე.წ. „აკრძალული“ თემები ჩამოთვალა, ქნი ინგა იქ არ იყო, ჩვენს საუბარს მხოლოდ ბ-ნი გია ჯანდიერი ესწრებოდა. მე დავთანხმდი, თუ წამყვანი ამ საკითხებს არ წამოჭრის, ხმას არ ამოვიღებ-მეთქი.

– **პრემიერ-მინისტრმა რა თემები ჩამოთვალა?**

– ამ თემებზე თქვენი გაზეთის ფურცლებზეც არაერთხელ მისაუბრია, მაგრამ რაკი პირობა მივეცი და არც ქნი ინგა გრიგოლიას უთქვამს რამე, ვერ გავამხედ.

– არადა, თქვენი დათმობის ხარჯზე ლადო გურგენიძე საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა.

– როდესაც კაცი დებატების წინ გთხოვს, რაღაც თემებზე არ ვილაპარაკოთ, შენ უკვე გამარჯვებული ხარ, უკვე გეცოდება და ამ ადამიანს ინდობ კიდევ. მე მგონი, აქ ქრისტიანული მომენტიც არის. იცით, ეს რას ჰგავს? დავუშვათ, რინგზე ხარ გამოსული და მოწინააღმდეგე გეხვეწება, მარცხენა წარბი დაზიანებული მაქვს და იქითკენ ხელი არ მომიქნიო, შენ კი ამას თანხმდები, რადგანაც იცი, რომ ნებისმიერი მხრიდან სერიოზულ უპირატესობას ფლობ.

– მე ვხვდები, გურგენიძე შემოგთავაზებდათ, ეროვნული ბანკის თემაზე არ ვილაპარაკოთ.

– როგორც გითხარით ამ საკითხებზე დაკონკრეტება ჩემი მხრიდან სიტყვის გატეხვა იქნება, ამიტომ თქვენს ეჭვებს არც დავადასტურებ და არც ვუარყოფ. აქვე იმასაც ხაზს გავესვამ, რომ რაზეც ჩვენ ხმამაღლა ვისაუბრეთ, სამთავრობო მხარემ აქაც უსუსურობა გამოამჟღავნა – მაგალითად, თუკი ჩვენმა ავიაკომპანიებმა ვალი გადაიხადეს და რეისები აღდგა, რუსები ორი წლის წინაც ამას არ ითხოვდნენ? თუკი მთავრობა ინფლაციას “კბილებით იჭერს” მაშინ, როცა სტატისტიკის დეპარტამენტი ხელისუფლების მონა-მორჩილია, ეკონომიკის რომელ განვითარებაზე უნდა ვილაპარაკოთ? სამწუხაროდ, პრემიერ-მინისტრმა საიმისო ცოდნაც კი ვერ გამოავლინა, რომ მისივე ყოფილ ბანკში (თუმცა, შესაძლოა, სულაც არ არის ყოფილი), საკრედიტო ხაზები (ე.წ. “ორანჯ ბარათები”) მხოლოდ დოლარებშია გახსნილი, ევრო ბანკომატებში საერთოდ არ არის და მეტიც, საბიუჯეტო დანართების ცხრილებიც კი დოლარებშია წარმოდგენილი.

– ჩვენგან გაკიცხულ გია ჯანდიერზე რას იტყვით?

– მე ბატონ გია ჯანდიერს ვიცნობ როგორც კარგ ეკონომისტს და რაც მთავარია, ის ყოველთვის ცდილობს, საკუთარ თავთან იყოს მართალი. ვერ გეტყვით, იმ საღამოს გურგენიძემ რატომ მოიყვანა, მაგრამ როცა საუბარი დასაქმების პროგრამაზე წავიდა, მან ჩუმად, მოკრძალებულად თქვა, ეს პროექტი არ მომწონსო. როგორც ჩანს, ჯანდიერის პოზიცია პრემიერისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა და როდესაც ქ-ნი ინგა გრიგოლია მას შეკითხვებს აძლევდა, შეგნებულად აწყვეტინებდა.

– ისე, უინტერესო საუბარი ერთი-ორჯერ ინგამაც შეაწყვეტინა.

– ახლა, ქნი ინგა ის წამყვანია, რომელიც საუბარს მეც მაწყვეტინებს, პრემიერ-მინისტრსაც და მიხეილ სააკაშვილსაც, მას ჟურნალისტური სითამამე საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდიერი ტელევიზიაში ლაღო გურგენიძის მხარდასაჭერად მიიყვანეს, მან თავზე ნაცარი მაინც არ წაიყარა.

– კი, მაგრამ ერთი ისეთი „სიბრძნე“ თქვა, ქართველი ხალხი დღესაც შოკშია – ჩვენაო, საკუთარ თავს თვითონ უნდა მივხედოთ და შრომის ხარისხი გავიუმჯობესოთ.

– ჯანდიერი თავისი მსოფლმხედველობით ლიბერტიანული გახლავთ. მართალია, კახა ბენდუქიძემ და ლაღო გურგენიძემაც დაიბრაღეს, ლიბერტიანელები ვართო, მაგრამ მათ ამ თეორიისა, სამწუხაროდ, დიდი არაფერი გაეგებათ: მათ გონიათ რაც უფრო დიდ ზიანს მიაყენებენ ქართულ სახელმწიფოს მით უფრო დიდი ლიბერტიანული რეფორმატორები იქნებიან!

– ეს ალბათ იგივე ლიბერალიზმია, ხომ?

– არა განსხვავებული მიმდინარეობაა, რომელიც ეკონომიკაში ხელისუფლების თითქმის სრულ ჩაურევლობას გულისხმობს.

– კი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ამის თქმა არ შეიძლება.

– გეთანხმებით, ჩვენი ხელისუფლება ხან აცხადებს, ადამიანებმა საკუთარ თავს უნდა მიხედონო, ხან კიდევ – ყველაფერში ისე ერევა, როგორც დაგიბარებიათ. ერთი სიტყვით, როდესაც გურგენიძემ თქვა, დამხმარედ კიდევ ერთი კაცი უნდა მოვიყვანო, სიბრალულის გრძნობა დამეუფლა. თუ ის, როგორც ქნი ინგა გრიგოლიას დაპირდა, ერთი თვის შემდეგ პირდაპირ ეთერში მოვა და არანაირ პირობას არ დამიყენებს, მაშინ სხვანაირი სურათი დაიხატება, მე მისი სუსტი მხარეც ვიცი და ძლიერიც.

– გურგენიძის ყველაზე სუსტი წერტილი რომელია?

– კაცი რომ 50-დღიანი გეგმის 87-ე დღეზე ლაპარაკობს უკვე სუსტია, აბა, რა არის? ამ შემთხვევაში ნებისმიერი დისკუსია უკვე წაგებული აქვს. მსგავს მაგალითად ისიც გამოდგება, როცა პარლამენტში შემოტანილი ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათში იმას წერენ, რომ ინფლაცია თურმე ატამმა

გამოიწვია და პამიდორმა კიდევ შეამცირაო, ეს ეკონომიკაა თუ ნინიას ბაღი? იცით, გურგენიძე ძლიერი რაშია? ის არის ფინანსური კორპორაციის კარგი მმართველი და საქართველოს უყურებს როგორც კორპორაციას. მე არც ბანკირი გახლავართ და არც ფინანსური მმართველი, ამიტომ ამ კუთხით დავას არ ვაპირებ, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკა ერთი თუნდაც დიდი კორპორაცია ნამდვილად არ არის.

– ესე იგი, პრემიერ-მინისტრის მიზანია, ყველაფრისგან ფული გამოაღნოს, ხომ?

– დიახ, სწორედ ასეა... მაგალითად, უნდა გაიყიდოს რკინიგზა, ფოთის პორტი, 500-მილიონიანი ვერობლიგაციები, გურგენიძისთვის ეს კარგია, ფული შემოდის, მაგრამ მომავალში ქვეყანა რა მდგომარეობაში აღმოჩნდება, ეს არ აინტერესებს. როდესაც შავ ზღვაზე „ყაზმუნაიგაზი“ ტერმინალს ყიდულობს, მისთვის კარგია, მაგრამ ავიწყდება, რომ ეს ორგანიზაცია 100-პროცენტული წილით ყაზახეთის სახელმწიფოს ეკუთვნის. გამოდის, ოდესღაც კერძო საკუთრებას უცხო ქვეყნის მთავრობა დაეპატრონა, ნაციონალიზაცია მოახდინა. გურგენიძისთვის მხოლოდ მოგება არსებობს, თუ ჩვენ შევთანხმდებით, რომ საქართველო ფინანსური კორპორაციაა, მაშინ ის კარგი მმართველია, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ საქართველო ჩვენთვის სამშობლოა, მისი მმართველობა აბსოლუტურად მიუღებელია.

– როგორც ჩანს, სააკაშვილი და გურგენიძე უკვე შეთანხმდნენ, რომ საქართველო ფინანსური კორპორაციაა.

– არა მგონია, საქმე ასე მარტივად იყოს, სააკაშვილს ეს საკითხები, ჩემი აზრით, მაინც და მაინც არ აღეგებს, მისი ყურადღება მთლიანად აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და ნატოში გაწევრიანების საკითხებზეა გადატანილი, ეკონომიკა მთლიანად გურგენიძეს, უფრო სწორად, ბენდუქიძეს ჩააბარა. დღევანდელი მთავრობის ჩრდილოვანი პრემიერი ხომ ბენდუქიძე გახლავთ.

– ბენდუქიძე კანცელარიაში ფორმალურად ზის?

– რა თქმა უნდა, ეს ადამიანი იდეების მთავარი გენერატორია, ამას არც ბატონი გურგენიძე უარყოფს, ყოველთვის ამბობს, ბენდუქიძესთან თანამშრომლობა ძალიან სასიამოვნოაო.

– ბატონო ლადო, თქვენ თქვით, გურგენიძეს თავის კაბინეტში ერთი-ერთზე ველაპარაკეო... მაინტერესებს, პრემიერ-მინისტრი როგორი ტონით გესაუბრათ – დამრიგებლურით, მბრძანებლურით თუ უბრალოდ რჩევას გეკითხებათ?

– ამ შეკითხვაზე რომ გიპასუხოთ, მაშინ ცოტა შორიდან უნდა დავიწყო: ჩვენი ურთიერთობა დაიწყო 1994 წელს, როდესაც მე ეკონომიკის მინისტრი ვიყავი. ერთ დღეს თანაშემწე შემოვიდა და მითხრა, ამერიკიდან ჩემი მეგობარია ჩამოსული, სასწავლებელი ახალი დამთავრებული აქვს, უკვე მუშაობაც დაიწყო და გთხოვთ, მიიღოთ. ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო თემებზე ვისაუბრეთ, მერე ვთხოვე კიდევ, როცა თბილისში ჩამოსვალ, ჩემი კაბინეტის კარი შენთვის ღია იქნება-მეთქი. ერთხელ ნიუიორკში მეც ჩავედი სამსახურებრივი მივლინებით და ლადო გურგენიძემ მთხოვა, აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტში მოხსენებით გამოვსულიყავი. 1997 წლიდან ჩვენი ურთიერთობა ცოტა სხვა ფორმატში გადავიდა – ლადო გურგენიძემ აღნიშნული კვლევითი ინსტიტუტი დატოვა, სხვა სამსახურში წავიდა, მან საქართველოში ერთ-ერთი საწარმოს რესტრუქტურის პროგრამა მოამზადა და სამინისტროში ხშირად მოდიოდა. როდესაც პროგრამა დამთავრდა, გურგენიძე აღარ მინახავს, თუ არ ვცდები, ისევ უცხოეთში გაბრუნდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ბანკს სათავეში ჩაუდგა, ჩემთან საუბრის სურვილი აღარ გასჩენია. რაც შეეხება ბოლო შეხვედრას... როგორ გითხრათ, მე ბუნებით პედაგოგი ვარ და რაღაც-რაღაცები კი ვუთხარი, მაგრამ მაინც თავის აზრზე დარჩა. კარგად გამიგეთ, ძალიან გამიხარდება, თუკი ჩემი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი წარმატებული იქნება და პირდაპირ ეთერშიც სუსტი არ გამოჩნდება.

– ესე იგი, თქვენ პირდაპირ ეთერში უკან იმიტომ იხევთ, რომ ლადო გურგენიძე სუსტი არ გამოჩნდეს?

– ყოველ შემთხვევაში, რაც ბოლო „პრაიმტიმის“ დროს მთხოვა, შევუსრულე და ახლა მას მორალური უფლება არა აქვს, ნაწყენი იყოს. მე ყოველთვის მზად ვარ, მას თავისივე თამაშის წესებით ვეპაექრო.

– კი, მაგრამ ეს თქვენთვის იქნება წამგებიანი, მაყურებელი ამას გრძნობს.

– არა მგონია, ასეთი პოზიცია ჩემთვის წამგებიანი იყოს, მე ის კატა არა ვარ, რომელმაც სხვას ხეზე ასვლა არ უნდა ასწავლოს, თუმცა თუნდაც

რამოდენიმე საათიანი საუბრით ყოველივე იმის სწავლა შეუძლებელია, რასაც
წლები მოვანდობე.

გელა ზედელაშვილი